<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.05.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010110000.04.001.016108) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 30-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

,,5. საქართველოს მოქალაქეობის დადგენა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის) ტერიტორიაზე მცხოვრები პირების მიმართ განისაზღვრება ამ კანონის 30[1] მუხლით.“.

2. 30-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 30[1] მუხლი:

„მუხლი 30[1]. საქართველოს მოქალაქეობის დადგენა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის) ტერიტორიაზე მცხოვრები პირების მიმართ

1. საქართველოს მოქალაქედ, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეობა ამ კანონის შესაბამისად მოიპოვეს ან მოიპოვებენ, მიიჩნევა:

ა) საქართველოში 1991 წლის 21 დეკემბრამდე დაბადებული პირი, რომელიც 1991 წლის 21 დეკემბრამდე ცხოვრობდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის) ტერიტორიაზე, არ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და რომლის მიმართაც არ არსებობს ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება;

ბ) საქართველოში 1991 წლის 21 დეკემბრამდე დაბადებული და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის) ტერიტორიაზე 1991 წლის 21 დეკემბრამდე მცხოვრები პირის შვილი, თუ მას არ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და არ არსებობს მის მიმართ ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება.

2. დაინტერესებული პირი ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეობის დადგენის თაობაზე განცხადებით მიმართავს სააგენტოს ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

3. სააგენტო შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების ჩართულობით, იხილავს განცხადებას და ამოწმებს მასში მითითებული ინფორმაციის სისწორესა და სანდოობას. სააგენტო განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში იღებს

გადაწყვეტილებას ამ მუხლის შესაბამისად მოქალაქეობის დადგენის ან მოქალაქეობის დადგენაზე უარის შესახებ.“.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით უზრუნველყოს ამ კანონის 30[1] მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*